Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (III კვარტალი, 2021)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 15| 16.09.2021

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი პიემსი კვლევითი ცენტრის პროდუქტია. ბიულეტენში განვიხილავთ ქართველი ეკონომისტების მიერ შეფასებულ საქართველოს ეკონომიკურ კლიმატს. ბიულეტენი ემყარება Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას. საქართველოდან ინიციატივაში 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2021 წლის სექტემბერში.

2021 წლის მესამე კვარტალში, საქართველოს **ეკონომიკური კლიმატი გაუმჯობესდა**, 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით.

2021 წლის მესამე კვარტალში, ქართველი ეკონომისტების მიერ მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება გაუმჯობესდა 2021 წლის მეორე კვარტალთან და 2020 წლის მესამე კვარტლებთან შედარებით. ნიშანდობლივია, რომ გაუმჯობესების მიუხედავად, შეფასება უარყოფითი დარჩა.

მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის მსგავსად, ქართველ ეკონომისტებს უარყოფითი მოლოდინი აქვთ საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის მაჩვენებელი გაუარესდა 2021 წლის მეორე კვარტალში და 2020 წლის მესამე კვარტალში არსებულ მოლოდინთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, **რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2021 წელს 7.8%-ს** შეადგენს. სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:

ინფლაცია

- მოსალოდნელია ინფლაციის **იგივე მაჩვენებლის შენარჩუნება** შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

გაცვლითი კურსი

- ქართული ლარი ამჟამად **ზედმეტად არის შეფასებული** აშშ დოლარის, ევროს, თურქული ლირის და რუსული რუბლის მიმართ.

ვაჭრობის მოცულობა

- მოსალოდნელია **ექსპორტის** მოცულობის **ზრდა** უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- მოსალოდნელია **იმპორტის** მოცულობის **ზრდა** უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ გაიზრდება უფრო ნაკლებად ვიდრე იმპორტის მოცულობა, რაც გამოიწვევს **სავაჭრო ბალანსის გაუარესებას** მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.

დამატებითი შეკითხვები

2021 წლის მეორე კვარტლის გამოკითხვის ფარგლებში, ქართველმა ეკონომისტებმა შეაფასეს COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, მთავრობის რეგულაციები და ქვეყნის პერსპექტივები ეკონომიკის აღდგენის კუთხით.

გამოკითხვის ფარგლებში, ეკონომისტებმა შეარჩიეს ის ფაქტორი, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა რეალური მშპ-ს მკვეთრ ზრდაში. გამოკითხულ ექსპერტთა 53.8%-მა მთავარ ფაქტორად საბაზისო ეფექტი დაასახელა (2020 წელს მშპ-ს მნიშვნელოვანი ვარდნიდან გამომდინარე). 30.8%-მა მიზეზად 2021 წლის მარტის შემდეგ შეზღუდვების მოხსნა დაასახელა, ხოლო 15.4%-მა კი აქცენტი მთავრობის სტიმულირების პაკეტებზე გააკეთა.

გარდა ამისა, ეკონომისტებმა შეაფასეს მთავრობის მიერ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის წასახალისებლად განხორციელებული აქტივობები, 1-დან (სრულიად არ ვეთანხმები) 5-მდე (სრულიად ვეთანხმები) სკალაზე. 61.5%-მა აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმება საინფორმაციო კამპანიების დახმარებით საზოგადოების ნდობის მოპოვების სტრატეგიას. საინტერესოა, რომ ეკონომისტთა მხოლოდ 7.6% ეთანხმება შერჩეული ჯგუფებისთვის (მაგ: ჯანდაცვის სექტორში მომუშავე პირებისთვის, მასწავლებლებისთვის და სხვა.) სავალდებულო ვაქცინაციის შემოღებას.

გამოკითხულთა 46.2%-მა განაცხადა, რომ მიმდინარე რეგულაციები საკმარისად მკაცრი არ არის, ხოლო 30.8% მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეგულაციები ადეკვატურია. 23%-ს კი არ გააჩნია მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ეკონომისტებმა, ასევე, შეაფასეს ეკონომიკის განვითარების სტრატეგია, რაც მთავრობის 10-წლიანი გეგმის ფარგლებში შემუშავდა. გამოკითხულ ეკონომისტთა 53.8%-ის აზრით, 2025-2030 წლებში ეკონომიკის 5-5.2%-იანი ზრდის პროგნოზი რეალისტურია, მაგრამ არ არის საკმარისად ამბიციური.

ექსპერტებმა, ასევე, შეაფასეს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის და ინიციატივის ეფექტურობა, 1-დან (ძალიან დაბალი) 5-მდე (ძალიან მაღალი) სკალაზე. აღსანიშნავია, რომ ეკონომისტთა 69.2% მიიჩნევს, რომ პროექტის „ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინების შეძენის ხელშეწყობა“ პოტენციური ეფექტურობა ძალიან დაბალია. რესპოდენტთა 23% კი მიიჩნევს, რომ ლოგისტიკასა და ტრანსპორტის სექტორებში ინვესტირების პოტენციური ეფექტურობა ძალიან მაღალია.

გამოკითხულ ეკონომისტთა 50% ეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით რეფინანსირების განაკვეთი 10%-მდე გაიზარდა.

რესპოდენტთა 50% აღნიშნავს, რომ მათი მოლოდინის მიხედვით ტურისტთა ვიზიტები პრეპანდემიურ დონეს 2023 წელს მიაღწევს.

მეთოდოლოგია
ინდექსი ემყარება მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინს. მასშტაბი მერყეობს –100 ქულიდან +100 ქულამდე. –100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფითს), ხოლო +100 ინდექსით გაუმჯობესებას (დადებითს), 0 კი ნიშნავს ნეიტრალურს / უცვლელს.

ინდიკატორები	2017	2018	2019	2020
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16248.5	17596.6	17470.7	15888.1*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4358.5	4722.0	4696.2	4274.6*
მშპ რეალური ზრდა (%)	4.8%	4.8%	5.1%	-6.2%*
ინფლაცია	6.0%	2.6%	4.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1978.3	1306.3	1310.8	616.9*
უმუშევრობის დონე (%)	21.6%	19.2%	17.6%	18.5%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5177.4	5434	5741	7535
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.0%	22.3%	20.5%	-

* ხიხასხარი ძეფასება